როგორ გავაუმჯობესოთ საინფორმაციო და თხრობითი ტექსტის გაგება - გააზრების უნარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-4 კლასის მოსწავლეებში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - მანანა ჩოკოშვილი

2018-2019 სასწ.წელი

შესავალი 4

თავი I

1.1. მოკლე ინფორმაცია კლასის შესახებ 6
1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი 6
1.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები 7
1.4. კვლევის მიზანი 7
1.5. კვლევის ამოცანა 7

თავი II

2.1. საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა 8

თავი 3

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა 9

თავი IV

მეთოდოლოგია

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი.....11

4.2. შერჩევა 11

4.3. მონაცემების შეგროვება (კვლევის მეთოდები) 11

4.4. კვლევის კალენდარი 12

თავი V

5.1. ინტერვენციების აღწერა და მათი შედეგები 13

თავი VI

6.1. კვლევის პირველადი შედეგები და ანალიზი.....17

6.2. მეორადი მონაცემების ანალიზი 20

თავი VII

7.1. კვლევის მიგნებები 25

7.2.რეკომენდაციები 26

თავი VIII

დასკვნა 27

კვლევის შედეგების გაზიარება.....27

ბიბლიოგრაფია 28

დანართები 29

შესავალი

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა). სწორედ ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. მასში ვკითხულობთ, რომ, კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. წიგნიერება მოიცავს ყველა ტიპის ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

კითხვის მთავარი დანიშნულება წაკითხულის გაგება-გააზრებაა, რომლის შედეგად ტექსტში გადმოცემული შინაარსი მკითხველის გონებაში კონსტრუირდება. თუ მოსწავლისთვის გაგება-გააზრება ეფექტურია, მაშინ მას შეუძლია წარმოიდგინოს წაკითხული , გამოთქვას ვარაუდები, გამოიტანოს დასკვნები, შეაჯამოს წაკითხული, დასვას შეკითხვები, შეაფასოს პერსონაჟების საქციელი , ან მოვლენები. დაასურათოს ეპიზოდები, დააკავშიროს სხვა წაკითხულ მასალასთან , ან ცხოვრებისეულ მოვლენასთან ,წაკითხული გაუზიაროს სხვებს.

PIRLS–ის (Progress in International Reading Literacy Study) კვლევა ჩვენს ქვეყანაში უკვე მესამედ ჩატარდა. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე.

„წაკითხულის გააზრება უმაღლეს საფეხურზე ანუ ტექსტის წაკითხვა, გააზრება და გაანალიზება, საქართველოში მოსწავლეთა მხოლოდ 2%–ს შეუძლია“– აღნიშნული მონაცემები PIRLS-ის მიერ 2016 წელს ჩატარებულ კვლევაშია მოყვანილი.

აღნიშნულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ადვილია ტექსტიდან ზედაპირული ინფორმაციის გაგება, რაც შეეხება ტექსტიდან გამომდინარე დასკვნებს, მსჯელობას, შეფასებას, ჟანრის გაგებას - ამ მხრივ

პრობლემებია. მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტის გაგება -გააზრება უფრო უჭირთ , ვიდრე მხატვრული ტექსტისა.

ტექსტის გაგება-გააზრებისთვის მკითხველმა უნდა შეძლოს წაკითხულის ვიზუალიზება, შეჯამება, მთავარი სათქმელის გამოკვეთა, ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, სხვადასხვა დონის კითხვების დასმა კითხვამდე, კითხვისას , წაკითხვის შემდეგ, დასკვნების გაკეთება, ვარაუდების გამოთქმა, წერითი უნარების გამოყენება და ა.შ. კარგი მკითხველი რამდენჯერმე უნდა დაუბრუნდეს წაკითხულ ეპიზოდებს, განსაკუთრებით მაშინ ,თუ გაუგებარი, ბუნდოვანი დარჩა რაიმე, მაგრამ ამ მარტივ სტრატეგიას არ იყენებს ყველა მოსწავლე.

მასწავლებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ინფორმაციული ტექსტის ძირითადი მახასიათებლები და მის გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები , რითაც დაეხმარება მოსწავლეებს ასეთი ტიპის ტექსტებთან მუშაობაში. წაკითხულის გაგება -გააზრების პრობლემები გამომწვევი შესაძლო მიზეზებია:

- მწირი ლექსიკური მარაგი;
- გამართულად კითხვის დეფიციტი;
- მკითხველისთვის უცნობი საკითხავი თემა;
- ტექსტის სირთულე;
- კითხვის ეფექტური სტრატეგიების არაადეკვატური გამოყენება;
- სუსტი ვერბალური მსჯელობა;
- ინფორმაციის გადამუშავების პრობლემები;
- წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა.

წაკითხულის გააზრების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეებს მიზანმიმართულად ვასწავლით:

- ·გაგების მონიტორინგს;
- ·პარაგრაფში ძირითადი აზრის პოვნას;
- ·კითხვის სამივე ეტაპზე შეკითხვების დასმას;
- ·დასკვნების გამოტანასა და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას;
- ·ძირითადი ინფორმაციის თხრობას;

- ·ტექსტის ძირითადი პუნქტების შჯამებას (Sencibaugh, 2007).

1.1. მოკლე ინფორმაცია კლასის შესახებ:

2018-2019 სასწავლო წელს მე-4 კლასში სიით ირიცხებოდა 6 მოსწავლე. 5 ბიჭი და ერთი გოგონა. მათ ვასწავლი პირველი კლასიდან და ვიცნობ თითოეული მათგანის შესაძლებლობებს.

1.2. რა სირთულე გამოიკვეთა, პრობლემა და საკვლევი საკითხი

პირველი კლასიდანვე ვასწავლი ამ კლასს , კლასის მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული კითხვის, წერის, გაგება-გააზრების, ინტერაქციის პროცესში. მე-2 კლასის პირველ სემესტრში ჩავატარე სადიაგნოსტიკო ტესტირება ტექსტის კითხვაზე, ლექსიკური მარაგის დონის დადგენაზე, საინფორმაციო და თხრობითი ტექსტების გაგება -გააზრებაზე - შედეგებით კმაყოფილი დავრჩი .

მესამე კლასში მოსულ მოსწავლეებს ვამჩნევდი, რომ რამდენიმე მათგანს ჰქონდა გაწაფულად კითხვის პრობლემა . ზაფხულის განმავლობაში ჩემ მიერ რეკომენდირებული ლიტერატურიდან , რამდენიმე მოსწავლეს არ ქონდა წაკითხული თითქმის არც ერთი წიგნი. მესამე კლასის პირველი სემესტრიდანვე ჩამოვაყალიბე მკითხველთა კლუბი , რომელშიც გავაწევრიანე მე-3 კლასის ექვსივე მოსწავლე და მე -4 კლასის მოსწავლეები . კლუბის ჩამოყალიბების მიზანი იყო კითხვისა და შემოქმედებითი უნარის განვითარება , ტექსტების გაგება -გააზრების უნარის განვითარება, ლიტერატურული პერსონაჟების გაცნობა. მთელი წლის განმავლობაში ვატარებდი კლუბის მუშაობას .

მე-4 კლასის პირველი სემესტრის დასაწყისშივე ორ მოსწავლეს ვამჩნევდი, რომ უჭირდათ კითხვა, წერითი დავალების შესრულებისა და ზეპირი გადმოცემის დროს უჭირდათ წაკითხულის დეტალების აღდგენა და ინფორმაციის სრულყოფილად გადამუშავება. გადავწყვიტე ჩამეტარებინა დიაგნოსტიკური ტესტირება, რათა შემემოწმებინა ჩემი მოსწავლეების წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი. (დანართი 1,დანართი 2, დანართი 3) . სკრინინგის შედეგებით დავადგინე , რომ რამდენიმე მოსწავლეს გაუჭირდა მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება, უმეტესობას კი -საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება. ასევე ტესტირებით შევამოწმე და დავადგინე მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის დონე. მიღებულმა შედეგებმა გადამაწყვეტინა ჩამეტარებინა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ,რათა

დამედგინა აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები , მემუშავა მათ აღმოფხვრაზე და გამეუმჯობესებინა მოსწავლეთა მიღწევის დონე .

1.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

1. მოსწავლეები არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას.
2. მოსწავლეები არ კითხულობენ საინფორმაციო ტექსტებს.
3. რამდენიმე მოსწავლეს უფროსი უკითხავს .
4. რამდენიმე მოსწავლეს უჭირს წაკითხულის დეტალების აღდგენა და ინფორმაციის სრულყოფილად გადამუშავება.
5. კითხვისას უცხო სიტყვის აღმოჩენისას არ ცდილობენ გაარკვიონ მისი მნიშვნელობა ,იშვიათად ეკითხებიან უფროსებს მის მნიშვნელობას , არ ეძებენ ლექსიკონში მის განმარტებას.
6. ჩემი პრაქტიკა გასაუმჯობესებელია ამ მიმართულებით.
7. მასწავლებელი ნაკლებად იყენებს მრავალფეროვან და ეფექტურ სტრატეგიებს თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებისთვის, ასევე მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად.

1.4. კვლევის მიზანი:

1. დავადგინო მე-4 კლასის მოსწავლეებში მხატვრული და საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარი .

2.გავაუმჯობესო მოსწავლეებში თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარი.

1.5. კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვას:

რამ გამოიწვია საინფორმაციო და თხრობითი ტექსტის გაგება -გააზრების პრობლემა სწავლების დაწყებით საფეხურზე, კერძოდ მე-4 კლასში?

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დახმარებას გამიწევს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- ✓ კითხულობენ თუ არა მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას ?
- ✓ კითხულობენ მოსწავლეები საინფორმაციო ტექსტებს?
- ✓ თვითონ კითხულობენ თუ უფროსების წაკითხული უფრო მოსწონთ?
- ✓ შეუძლიათ თუ არა ტექსტში საჭირო ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, წაკითხულის სრულყოფილად გადამუშავება?
- ✓ გაუგებარი უცხო ლექსიკური ერთეულის აღმოჩენისას ცდილობენ თუ არა მის განმარტებას?(ეკითხებიან უფროსს, ეძებენ ლექსიკონში)
- ✓ ვიყენებ თუ არა ტექსტის გაგება - გააზრებისთვის საჭირო სტრატეგიებს და ვიზიარებ კოლეგების გამოცდილებას?
- ✓ რა ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები მჭირდება ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემის გადასაჭრელად?
- √ აქვს თუ არა სხვა საგნის მასწავლებლებს იგივე პრობლემა?

თავი II

2.1. საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა

მე-4 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორებია: ქართ.დაწყ.I (2).მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა , გაგება-გააზრება და გადმოცემა.

ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.

წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

გაგებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს აკადემიური წარმატებების მიღწევასა და პრაქტიკულად ყველა სახის საქმიანობაში . ადამიანები სხვადასხვა მიზნით კითხულობენ. კითხვის მიზანი შეიძლება იყოს რაიმეს შესწავლა დარგობრივი ,საინფორმაციო ან მხატვრული ტექსტებიდან . სიამოვნების მიღება მხატვრული ლიტერატურის ,ან თუნდაც ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით, ასევე ინფორმაციის მიღება ,მაგალითად ,ბეჭდური პრესიდან , საენციკლოპედიო სტატიებიდან, ინსტრუქციებიდან.

თავი III

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა:

კითხვა მოზარდს ეხმარება საკუთარი თავისა და სამყაროს უკეთ შეცნობაში. დაწყებითი კლასებიდანვე უნდა მივაჩვიოთ მოზარდი გააზრებულ კითხვას, რისთვისაც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაა საჭირო.,, კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე" (G-pried)-ის წიგნში ვკითხულობთ:

,,პატარა მკითხველები გაგება-გააზრების უნარს ადვილად და თავისთავად ვერ ეუფლებიან. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტექსტის კითხვასთან ერთად გაგება-გააზრებაც თავისთავად გაღრმავდება. სამწუხაროდ ხშირად ასე არ ხდება .გააზრების უნარ-ჩვევებს /სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტს გააზრების განსხვავებული სტრატეგიები მიესადაგება.

გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი მოქმედებს,ესენია:1) მკითხველი, 2)ტექსტი, 3)მიზანი 4)სიტუაციური კონტექსტი/გარემო.

,,წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი :ა) სიტყვასიტყვით გაგების დონეზე ბ) ანალიზისა და დასკვნების გამოტანის დონეზე და გ) კრიტიკული შეფასების დონეზე. შესაბამისად, გაგება-გააზრებისთვის მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია ,რაც მოითხოვს :

- ნაცნობი სიტყვების ავტომატურად ამოცნობას და მათი მნიშვნელობის გახსენებას.
- უცნობი სიტყვების სწრაფად დეკოდირებას და მათთვის მნიშვნელობის მინიჭებას.
- კონტექსტური მინიშნებების ამოცნობას და გამოყენებას.
- წინადადებებში გადმოცემული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებას.

- ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან.
- წაკითხულის გასააზრებლად ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორიცაა: ვიზუალიზება, შეჯამება, მთავარი იდეის გამოკვეთა, ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, სხვადასხვა დონის შეკითხვების დასმა, დასკვნების გაკეთება, ვარაუდების გამოთქმა.''

კარგი მკითხველი ცდილობს წაკითხული დაუკავშიროს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ,რაც ხელს უწყობს გაგება-გააზრებას.

ესგ- ს მიხედვით - ,, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. სწორედ ეს უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან''.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება დიდწილად დამოკიდებულია ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებული მკითხველია. ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს.

ირინა სამსონიას წიგნში ,, წიგნიერება“ ვკითხულობთ - ,,კითხვის სპეციალისტები აღიარებენ ,რომ სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა პირდაპირ არის დაკავშირებული წაკითხულის გააზრების უნართან და ზოგადად მოსწავლის აკადემიურ წარმატებასთან. თუკი მოსწავლეს აქვს უნარი გაიგოს იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებსაც კითხვისას აწყდება , შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია მისთვის უცნობი სიტყვების ამოსაცნობად , შეიძლება ითქვას ,რომ იგი გააზრებულად კითხულობს და სავარაუდოდ იგებს ტექსტის შინაარს. '' თუმცა ამ ყოველივესთან ერთად მთავარია მოსწავლემ შეძლოს ტექსტიდან აზრის გამოტანა ,საკუთარ გონებაში წარმოსახვა-წარმოდგენა და იმის გაცნობიერება რას ეუბნება ავტორი.

წაკითხულის გაგება-გააზრება კომპლექსური უნარია, რომლის განვითარებას დრო სჭირდება და პირველი კლასიდანვე უნდა დაეუფლოს მოსწავლე. თავდაპირველად საბაზისო დონეზე ხდება სიტყვასიტყვით აზრის გაგება ,შემდეგომ ეს უნარი სიღრმისეული , ანალიტიკური გაგება-გააზრების დონეზე უნდა განვუვითაროთ მოსწავლეებს.

ანალიტიკურ დონეზე მკითხველმა უნდა შეძლოს დასკვნების გამოტანა, ვარაუდების გამოთქმა, კარგი მკითხველები ცდილობენ გამოკვეთონ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, გამოიტანონ დასკვნები მათი მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ.

კრიტიკული კითხვა კი ის დონეა, როცა მკითხველს შეუძლია არა მხოლოდ გააზრება, არამედ წაკითხულის შეფასებაც. შეუძლია აზრი გამოთქვას ავტორის მიზნის ,ჩანაფიქრის, სტილის იდეის შესახებ.

წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის გასავითარებლად მნიშვნელოვანია , გაგება -გააზრების სტრატეგიების მოდელირება და გავარჯიშება პირველი კლასიდანვე, ასევე საინფორმაციო ტექსტების წაკითხვისა და გაგება გააზრების სტრატეგიების სწავლება თხრობითი ტექსტების პარალელურად.''

თავი IV

მეთოდოლოგია

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

მე-4 კლასის მოსწავლეები, 6 მოსწავლე.

4.2. შერჩევა

სრული შერჩევა - საკვლევი საკითხის შესასწავლად დავგეგმე გამოკითხვის ჩატარება მე- 4 კლასის მოსწავლეებთან კითხვარის საშუალებით, გამოკითხვა ტარდებოდა მე-4 კლასის ყველა მოსწავლესთან და მათ მშობლებთან.

მიზნობრივი შერჩევა - გამოვიყენე მე- 4 კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან ფოკუსჯგუფის ჩატარებისას.

4.3. კვლევის მეთოდები, მონაცემების შეგროვება:

ინტერვიუ ბიბლიოთეკართან :

კითხვები ინტერვიუსთვის:

1. **ეხმარები მოსწავლეებს წასაკითხი წიგნის არჩევაში?**
2. **ურჩევ ყველა მოსწავლეს მისი ასაკისთვის შესაფერის ლიტერატურას?**
3. **ამოწმებ დაბრუნებული წიგნი წაიკითხა თუ არა მოსწავლემ?**
4. **სხდებიან მოსწავლეები ბიბლიოთეკაში წიგნის წასაკითხად?**
5. **სთავაზობ საინფორმაციო ტექსტებს მე-4 კლასის მოსწავლეებს?**

- ინტერვიუთი დავადგინე , რომ ბიბლიოთეკარი მოსწავლეებს ყოველთვის ეხმარება წასაკითხი წიგნის არჩევაში, სთავაზობს მათი ასკისთვის შესაფერის ლიტერატურას, მოსწავლეები ზოგჯერ ითვალისწინებენ მის რეკომენდაციას , ზოგჯერ - არა. ბიბლიოთეკარი ხშირად სხვადსხვა კითხვით ამოწმებს წაკითხული აქვთ თუ არა წიგნი, რომელსაც უკან აბრუნებენ ბავშვები . აღმოჩნდა , რომ ისინი ხშირად წაუკითხავ წიგნს აბრუნებენ უკან, თითქმის არასდროს არ სხდებიან ბიბლიოთეკაში რომელიმე წიგნის წაკითხვის მიზნით. მე-4 კლასის მოსწავლეები არ ინტერესდებიან საინფორმაციო ტექსტებით.

ფოკუს ჯგუფი - ჩემი მიზანი იყო დამედგინა , კონკრეტულად რა პრობლემა იკვეთება წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით და რას ფიქრობენ სხვა საგნის მასწავლებლები. რა არის ამის მიზეზი? დავადგინე , რომ მოსწავლეები სახლში არ კითხულობენ საგაკვეთილო მასალას , ძირითადად გაკვეთილზე სწავლობენ მუსიკაში, ხელოვნებაში, მე და საზოგადოებაში, ბუნებაში. ასევე , მათემატიკაში სახლში დამოუკიდებლად არ ასრულებს დავალებას რამდენიმე მოსწავლე , მათ უჭირთ ამოცანის გააზრება და ამოხსნისას მიდიან არასწორი გზით.

გამოკითხვა - კითხვარების საშუალებით. კითხვარებით დავადგინე პრობლემის გამომწვევი მიზეზები და ინტერვენციების შედეგები.(იხ .დანართი N4; დანართი N5; დანართი N9)

მეორადი მონაცემების ანალიზი - მეორადი მონაცემები შევადარე პირველად მონაცემებს და შევაფასე მოსწავლეთა შედეგი თხრობითი და საინფორმაციო ტექსტების გაგება-გააზრებასა და ლექსიკურ მარაგის დონის ამაღლებაში.

შერჩევა - სრული. გამოკითხვაში მონაწილეობდა მე- 4კლასის ყველა მოსწავლე და მათი მშობლები. შევისწავლე ინდივიდუალურად თითოეულის პროგრესის შედეგი.

4.4. კვლევის ვადები

აქტივობა	10/2018	11/2018	01/2019	02/2019	03/2019	04/2019	05/2019
პრობლემის იდენტიფიცირება(დიაგნოს ტიკური ტესტირება)	√						

კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	√						
ინტერვიუ ბიბლიოთეკართან		√					
ფოკუსჯგუფის ჩატარება პედაგოგებთან		√					
მოსწავლისა და მშობლის კითხვარების შედგენა და გამოკითხვა. ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგ მშობლის კითხვარების შედეგენა შევსება		√					√
პირველადი მონაცემების ანალიზი		√					
ინტერვენციების განხორციელება			√	√	√	√	√
ინტერვენციების შედეგების ანალიზი							√
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან.კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გაზიარება.							√

თავი V

5.1. ინტერვენციების აღწერა, შეფასება, შედეგები:

1. ვხედავდი ,რომ საგაკვეთილო დრო არ იყო საკმარისი აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად .პირველი სემესტრიდანვე ჩამოვაყალიბე მკითხველთა წრე - ,,პატარა

მკითხველები,'' გავაწევრიანე ექვსივე მოსწავლე . წრის მუშაობის მიზანი იყო მათი ასაკისთვის შესაფერისი ლიტერატურისა და პერსონაჟების გაცნობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესება.

2. პირველ რიგში მიზნად დავისახე მოსწავლეების ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ყოველ გაკვეთილზე და წრის მუშაობაზე საგანგებო ყურადღებას ვუთმობდი უცხო ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობას. გამოვყავით ორი ყუთი : ერთ ყუთს დავაწერეთ ,,დაძლეული სიტყვები'', მეორეს- ,,დაუძლეველი სიტყვები". სახლში წასაკითხად გატანებული მქონდა ზოგისთვის მცირე ზომის წიგნი, ზოგისთვის მოთხრობა, საინფორმაციო ტექსტები. კვირაში ერთ გაკვეთილს ვუთმობდი შემდეგ სამუშაოს : აღნიშნული ტექსტებიდან ამოწერილ უცხო სიტყვებს განვმარტავდით ლექსიკონის ან ჩემი დახმარებით. ყველა სიტყვას იწერდნენ ლექსიკონის რვეულებში. მოსწავლეები ადგენდნენ წინადადებებს ამ სიტყვების გამოყენებით , ან ქმნიდნენ პატარა თხზულებებს და წარმოადგენდნენ კლასის წინაშე. შესწავლილ სიტყვებს ვყრიდით დაძლეული სიტყვების ყუთში, ხოლო შესასწავლ ყველა სიტყვას დასაძლევი სიტყვების ყუთში. დასაძლევი სიტყვები ასევე პერიოდულად ივსებოდა ჩემ მიერ მოძიებული სიტყვებით.

მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებს ევალებოდათ უცხო ლექსიკური ერთეულების ამოწერა და მათი განმარტება ლექსიკონის ან უფროსების დახმარებით. თავადვე წარმოადგენდნენ ამ დავალებას და ყველა მოსწავლე იწერდა ლექსიკონის რვეულში უცხო სიტყვებს. დაფაზე ვუწერდი განმარტებულ სიტყვებს , მოსწავლეებს შეეძლოთ ამოერჩიათ სასურველი რამდენიმე სიტყვა და ევალებოდათ თხზულების შედგენა ამ სიტყვების გამოყენებით.

აღნიშნული მეთოდი ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, ასევე კითხვისა და წერის , შემოქმედებითი უნარების გასავითარებლად .

3. შევქმენი ლოტოს ტიპის ბარათები , რომლებზეც წერია :- აფორიზმები, ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები , მეტყველების ნაწილები, კომპოზიტები . ცალ-ცალკე მქონდა ჩაყრილი თითოეულისთვის შესაბამისი ლექსიკური ერთეულები , რომლებსაც იღებდნენ და ანაწილებდნენ ბარათების შესაბამის გრაფებზე(სიტყვებზე). სხვადასხვა გაკვეთილზე ვიყენებდი სხვადასხვა თამაშს , ვაახლებდი ბარათებს და გაკვეთილზეც და

წრის მუშაობაზეც ხშირად თამაშობდნენ - ,,სახალისო ლოტოს ''. ისწავლეს ბევრი აფორიზმი , ანდაზა, ფრაზეოლოგიზმი , კომპოზიტი, გაუმდიდრდათ ლექსიკური მარაგის დონე.

4. შევქმენი ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, ასევე ვიყენებდი სხვა მასწვლებლების შექმნილ ანალოგიურ ხელმისაწვდომ რესურსებს:

https://learningapps.org/display?v=ps6fp7zmj19 ; https://learningapps.org/display?v=pqky8ov4j19; https://learningapps.org/1307979; https://learningapps.org/1288222; https://learningapps.org/display?v=piegq989a19; https://learningapps.org/1304408; https://learningapps.org/1288222; https://learningapps.org/1069390; https://learningapps.org/1686247; https://learningapps.org/1670431.

ელექტრონული რესურსებზე მუშაობა სახალისო და საინტერესო იყო მათთვის. მათი მრავალჯერადი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა კარგად დაიმახსოვრონ და განამტკიცონ შესასწავლი მასალა.

5. წაკითხულის გაგება- გააზრების უნარის გასავითარებლად გავეცანი და დავნერგე სტრატეგია -SQ4R ; აბრევიატურა ექვსი სიტყვისგან შედგება: Survey - გადახედე, Question - დასვი შეკითხვები, Read- წაიკითხე, Recite- გადმოეცი Review- განიხილე, Relate - დააკავშირე. ამ სტრატეგიის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია საინფორმაციო ტექსტების გაგება-გააზრებისთვის. ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეებს ექმნებათ საბაზისო ცოდნა ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ასევე მისი ინტერაქტიული ხასიათი საშუალებას აძლევს პრობლემურ მკითხველებს ჩაერთონ დისკუსიასა და ტექსტის განხილვის პროცესში, მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად ,ან კლასელებთან ერთად. მასწავლებელი მათ მხოლოდ მიმართულებას აძლევს.

1.გადახედე- მოსწავლეები ათვალიერებენ შესასწავლ ტექსტს, აკვირდებიან სათაურს , სტრუქტურულ მახასიათებელს, გადათვალიერების შედეგად

გამოაქვთ ერთგვარი დასკვნები, რაც წინარე ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს.

2.დასვი შეკითხვები - ტექსტის ამა თუ იმ ნაწილის წაკითხვამდე სვამენ შეკითხვებს და მათ უჩნდებათ კითხვის მიზანი - იპოვონ პასუხი ამ შეკითხვებზე.

3.წაიკითხე- კითხულობენ ყურადღებით, რათა იპოვონ შეკითხვებზე პასუხი. ტექსტს კითხულობენ დანაწევრებით.

4.გადმოეცი-წაკითხვის შემდეგ მიღებულ ინფორმაციას გადმოსცემენ წერილობით ან ზეპირად

5. განიხილე - განიხილავენ წაკითხულ ტექსტს , ცვლიან ერთმანეთში მოსაზრებებს და მსჯელობენ საინტერესო ეპიზოდების შესახებ.

6. დააკავშირე- მიღებულ ცოდნას უკავშირებენ საკუთარ გამოცდილებას, ნასწავლ მასალას , გარესამყაროს.

აღნიშნული სტრატეგიით მუშაობისას მოსწავლეები ეჩვევიან ინფორმაციის დახარისხებას, ორგანიზებას, უვითარდებათ სოციალური უნარები, რაც მთავარია ტექსტის გაგება-გააზრების პროცესი უფრო საინტერესო ხდება. ეჩვევიან კითხვების დასმას კითხვისა და სწავლის დროს და თავადვე პასუხობენ უკეთ გაგება-გააზრების მიზნით.

6. კვირაში სამჯერ შემქონდა ხელნაწერი ან ნაბეჭდი , დაახლოებით ერთი თაბახის ფურცლის მოცულობის თხრობითი და საინფორმაციო ტექსტები , მოსწავლეებს ევალებოდათ ტექსტის რედაქტირება . ასევე ტექსტის ბოლოში დასმულ რამდენიმე გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ტექსტის ბოლომდე წაკითხვის შემდეგ , ადვილი იყო გამოტოვებული სიტყვების შევსება. ტექსტს ისე ვაგებდი , რომ მომდევნო წინადადება ეხმარებოდათ წინა წინადადების შევსებაში. თავდაპირველად საჭიროებდნენ ჩემს დახმარებას , მაგრამ მალევე გაუადვილდათ დამოუკიდებლად მუშაობა ასეთი ტიპის ტექსტებზე , რაც ეხმარებოდათ არა მარტო

ტექსტის გაგება- გააზრების უნარის განვითარებაში, არამედ ლექსიკური მარაგის გამდიდრებაშიც. (იხილე დანართი 4; დანართი 5;დანართი 6). ამგვარი ტიპის დავალებებში საინფორმაციო ტექსტებზე გავამახვილე ყურადღება.

7. ექვსივე ბავშვს ვაჩუქე ასტრიდ ლინდგრენის სხვადასხვა მოთხრობის წიგნი, განსაზღვრულ დროში უნდა წაეკითხათ , ამოეწერათ უცხო სიტყვები , (რომლებიც განვმარტეთ და ისწავლეს კლასში) ემუშავათ პერსონაჟის რუკის შევსებაზე და ერთმანეთისთვის მოეყოლათ შინაარსი, გამოეყოთ მთავარი სათქმელი. პრეზენტაციებისთვის შერჩეული გვქონდა სამშაბათი დღე.

აღნიშნული მოთხრობების გაცნობის შემდეგ კიდევ დავურიგე ცნობილი ავტორების წიგნები, რომლებიც იგივე პრინციპით გააცნეს ერთმანეთს. წლის განმავლობაში ბევრ საბავშვო ავტორსა და მოთხრობას გაეცნენ. წიგნები და ავტორები საგანგებოდ მქონდა შერჩეული. ამ ყოველივეს განხორციელებაში მეხმარებოდა წრის მუშაობა. ასევე ,წრის მუშაობაზე ვმართავდით ვიქტორინებს , მოსწავლეებს თავად ჰქონდათ მომზადებული კითხვები ვიქტორინისთვის, რომლებიც ივსებოდა ჩემ მიერ.

აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს ტექსტის გაგება-გააზრების , პერსონაჟის მიმართ თავისი დამოკიდებულების გამოხატვის, შემოქმედებით , კრიტიკული აზროვნების , მეტყველების უნარებს .

თავი VI

ტესტირების პირველადი შედეგები და ანალიზი

6.1. მე-4 კლასის მოსწავლეთა დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები:

მე-4 კლასში დიაგნოსტიკური ტესტირება ჩავატარე თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება -გააზრებაში და ლექსიკური მარაგის დონის დადგენაში. შედეგები გამოვსახე დიაგრამების სახით.

დიაგრამა 1



სამი მოსწავლე -მოსწავლეთა 50% კარგად იაზრებს თხრობით ტექსტს , ორი მოსწავლე -33 % - საშუალოდ, ერთი მოსწავლე-1 7 % - ცუდად.

დიაგრამა 2



საინფორმაციო ტექსტს კარგად იაზრებს 1 მოსწავლე- 17%, საშუალოდ სამი მოსწავლე- 50% ,ცუდად- ორი მოსწავლე -33%

დიაგრამა 3



კარგი ლექსიკური მარაგი აქვს ერთ მოსწავლეს - 17 %. საშუალო - სამ მოსწავლეს - 50 %, ცუდი - ორ მოსწავლეს - 33 %.

მოსწავლეებისა და მშობლებისთვის შედგენილი კითხვარებით დავადგინე , რომ პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: (იხ .დანართი N4; დანართი N5; დანართი N9)

1. სამი მოსწავლე არ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას .
2. ოთხი მოსწავლე არ კითხულობს საინფორმაციო ტექსტებს.
3. სამი მოსწავლე კითხვისას უცხო სიტყვის აღმოჩენის შემთხვევაში, არ ცდილობს მოიძიოს მისი განმარტება.
4. ორ მოსწავლეს ხშირად უკითხავს უფროსი.
5. ორ მოსწავლეს უჭირს ტექსტში საჭირო ინფორმაციის მოძიება და წაკითხულის სრულყოფილად გადამუშავება .

6.2. მეორადი მონაცემების ანალიზი

მეორადი ტესტირება ჩავატარე მაისის თვეში , განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ.

ტესტირება ჩავატარე განმეორებით , საინფორმაციო და თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრებაში და ლექსიკური მარაგის დონის დადგენაში . შედეგები გამოვსახე დიაგრამის სახით.

დიაგრამა 1.



ინტერვენციების შემდეგ თხრობით ტექსტს კარგად იაზრებს 4 მოსწავლე - 67%, საშუალოდ -2 მოსწავლე -33%.

დიაგრამა 2



ინტერვენციების შემდეგ საინფორმაციო ტექსტს კარგად იაზრებს 4 მოსწავლე -67%, საშუალოდ -2 მოსწავლე-33%.

დიაგრამა 3

ლექსიკური მარაგის დონე



ინტერვენციების შემდეგ ლექსიკური მარაგის დონე შემდეგნაირად გადანაწილდა: კარგი-4 მოსწავლე -67%, საშუალო - 2 მოსწავლე-33% .

თითოეული მოსწავლის შედეგი ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგი გამოვსახე დიაგრამების სახით.

დიაგრამა 1.



დიაგრამა 2.


საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების დონის ცვლილება ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგ თითოეულ მოსწავლეზე
6
5
4
3
2
1
0
1
2
3
4
5
6
ინტერვენციებამდე
ნტერვენციების შემდეგ

დიაგრამა 3.


ლექსიკური მარაგის დონის ცვლილება ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგ თითოეულ მოსწავლეზე
16
14
12
10
8
6
4
2
0
1
2
3
4
5
6
ინტერვენციებამდე
ნტერვენციების შემდეგ

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, მათი შეფასების მიზნით შევადგინე კითხვარი მშობლებისთვის და შევაფასე შედეგები .(იხ.დანართიN 9) . დავადგინე, რომ ყველა მოსწავლემ დაიწყო კლასგარეშე ლიტერატურისა და საინფორმაციო ტექსტების კითხვა. (წიგნებს თავად ვურჩევდი და ვატანდი სახლში ყველა მოსწავლეს ინდივიდუალურად). ასევე ყველა მოსწავლე უცხო სიტყვების განმარტებებს ეკითხებოდა უფროსებს , ან ეძიებდა ლექსიკონში. იშვიათად ეხმარებოდნენ უფროსები კითხვაში.

თავი VII

7.1. მიგნებები:

1. მოსწავლეთა შედეგების მუდმივი მონიტორინგი.
2. მკითხველთა წრის მუდმივი ფუნქციონირება , რაც ეხმარება მასწავლებელს განახორციელოს სასურველი მრავალფეროვანი აქტივობები , რასაც ვერ ასწრებს საგაკვეთილო დროში .
3. ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება.
4. გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული სქემებისა და სტრატეგიების მუდმივად გამრავალფეროვნება და გამოყენება.
5. ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება საგაკვეთილო პროცესში .
6. წარმატების მისაღწევად მასწავლებელმა პროფესიული განვითარება პროცესად უნდა აღიქვას და არა ერთჯერადად განხორციელებულ ღონისძიებად.

7.2 რეკომენდაციები

ინტერვენციების განხორციელებისას ჩემი მიზანი იყო მე-4 კლასის მოსწავლეებში თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესება.

- თითოეული მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდა, მათი სხვადასხვა უნარის განვითარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი - წაკითხულის გაგება-გააზრების უნარია, რომლის განვითარებაზეც პირველი კლასიდანვე უნდა იზრუნოს მასწავლებელმა. აუცილებელია გაწაფული კითხვის უნარის განვითარება . ასევე ,მოსწავლეებმა უნდა

შეძლონ ინფორმაციის გადამუშავება, წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენა და სრულყოფილად გადამუშავება. აბზაცსა თუ მოთხრობაში მთავარი აზრის პოვნა და გადმოცემა , წაკითხვამდე, კითხვისას და წაკითხვის შემდეგ შეკითხვების დასმა , გაგება-გააზრების მონიტორინგი, ტექსტის ძირითადი პუნქტების შეჯამება. უცხო ლექსიკური ერთეულების იდენტიფიცირება და განმარტება.

- აუცილებელია პირველი კლასიდანვე გამოვიყენოთ ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი მრავალფეროვანი სავარჯიშოები; ეფექტურია ელექტრონული რესურსების გამოყენება , რადგან იძლევა მრავალჯერადად გამოყენების საშუალებას. სავარჯიშოების შესრულების პროცესში მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა რამდენჯერმე სცადოს პასუხის გაცემა, ვიდრე სწორ პასუხს არ მიაგნებს, ამ პროცესში უფრო უკეთ იმახსოვრებს ინფორმაციას და განიმტკიცებს ნასწავლ მასალას. ჩემი აზრით ,მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსი თავად მასწავლებელმა შექმნას შესწავლილი მასალის გამოყენებით .
- ტექსტის გაგება-გააზრებისთვის დავნერგოთ ეფექტური სტრატეგიები . დაწყებითი კლასებიდანვე ვასწავლოთ მოსწავლეებს წაკითხულის გაგება-გააზრების მონიტორინგი .
- მოსწავლეები მივაჩვიოთ საინფორმაციო ტექსტების კითხვასა და გააზრებას.
- მიზნობრივად გაწერილი საწრეო ან საკლუბო მუშაობის წარმართვა სასწავლო წლის განმავლობაში დიდ სარგებელს მოუტანს როგორც მოსწავლეებს , ასევე მასწავლებელს. მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს ყველა აქტივობა , რასაც ვერ ასწრებს საგაკვეთილო დროში .მოსწავლეები კი მიეჩვევიან კლასგარეშე მუშაობას .
- მასწავლებელი პროფესიულად მუდმივად უნდა ვითარდებოდეს .

7.2. თვითკრიტიკა

ვფიქრობ , რომ კვლევის მიმდინარეობისას მშობლები ნაკლებად იყვნენ ჩართულები შვილების საქმიანობაში, ნაკლებად ინტერესდებოდნენ წასაკითხი ლიტერატურით. მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია, მათი აქტიური ჩართულობა , მშობელთა კრებებზე

დასწრება ჩემი მუშაობის შედეგებს გააუმჯობესებდა, რადგან მათი ჩართულობა ყოველთვის დადებითად აისახება მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე.

თავი VIII

დასკვნა:

2018-19 სასწავლო წელს მე-4 კლასში აღმოჩენილი წაკითხულის გაგება -გააზრების უნარის დეფიციტის აღმოჩენის შედეგად განხორციელდა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლის მიმდინარეობაც მოიცავდა თითქმის მთელ სასწავლო წელს და შედგებოდა პრობლემის შესწავლის, ინტერვენციების დაგეგმვა - განხორციელების და შედეგების შეფასების ეტაპებისაგან. დადგინდა, რომ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზებია:

- ✓ მოსწავლეები არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას და საინფორმაციო ტექსტებს.
- ✓ მოსწავლეებს აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი.
- ✓ ზოგიერთ მოსწავლეს სისტემატურად უფროსი ეხმარება საშინაო დავალების შერულებაში.
- ✓ ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს ტექსტში სათანადო ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, ასევე წაკითხულის სრულყოფილად გადამუშავება.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა ინტერვენციები.

ინტერვენციების შედეგების ანალიზი უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ისინი შედეგიანი იყო. პრობლემა დიდწილად აღმოფხვრილია. ანალიზმა მიჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობას გაუუმჯობესდა წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი, დაინტერესდნენ და გაიუმჯობესეს საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარი , გაუმდიდრდათ ლექსიკური მარაგი, რაც აისახა განმეორებით ტესტირების შედეგებში , ასევე წაკითხული თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება -გააზრების დონის ამაღლებაში.

კვლევის შედეგების გაზიარება

კვლევის შედეგების გასაცნობად და გასაზიარებლად მოვიწვიე კლასის დამრიგებელი, ამ კლასში სხვა საგნებზე შემსვლელი მასწავლებლები , დაწყებითი განათლების კათედრის თავმჯდომარე, ასევე სკოლის დირექტორი და ყველა დაინტერესებული მასწავლებელი.

დამსწრე აუდიტორიას გავაცანი ჩემ მიერ აღმოჩენილი პრობლემა და მის აღმოსაფხვრელად შესრულებული ინტერვენციები.

მასწავლებლებისგან კვლევის შესახებ მივიღე დადებითი გამოხმაურება. მათ მოიწონეს შერჩეული საკვლევი საკითხი და აღნიშნეს მისი აქტუალობა , ასევე მირჩიეს გაგება-გააზრებისთვის რამდენიმე ეფექტური სტრატეგია .

კოლეგები მზად არიან მიიღონ და დანერგონ ჩემ მიერ დასახელებული სტრატეგიები. რამდენიმე მათგანს გაუჩნდა სურვილი ,თავადაც განახორციელონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა .

სავარაუდოდ აღნშნულ კლასს მომავალ წელს აღარ ვასწავლი, მაგრამ აუცილებლად დავინტერესდები მათი სწავლის შედეგებით , კლასში შემსვლელ მასწავლებლებს გავუზიარებ კვლევის შედეგად მიღებულ გამოცდილებას, მივაწვდი ინფორმაციას მოსწავლეთა შესაძლებლობების შესახებ და გავუწევ რეკომენდაციას.

აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განვახორციელე პირველად და გადაწყვეტილი მაქვს ყოველწლიურად განვახორციელო , რადგან შედეგმა მაჩვენა , რომ კვლევის ჩატარება მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებლის მუდმივი პროფესიული განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა .

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. .საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-pried) მეთოდური ლიტერატურა "კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) -2015წ. გვ.12.
2. რევაზიშვილი ეკა 10 აპრილი 2019წ. ,,საინფორმაციო- შემეცნებითი ტექსტი დაწყებით საფეხურზე".http://mastsavlebeli.ge/?p=21205
3. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 . ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები: ქართ.დაწყ.I (2).
4. ლომიძე ნანა - 27.08.2015წ. ,,გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე.http://mastsavlebeli.ge/?p=1431

5. სამსონია ირინა - ,,წიგნიერება ‘’ - მასწავლებლის სახელმძღვანელო .

6. ი.გოგებაშვილი - ,,ბუნების კარი“ 1992წ.

7. ,,ჩემი პირველი ქრესტომათია“-ელფის გამომცემლობა ,,თბილისი“ 2014 წ.

8.კითხვის ეფექტური მეთოდები 3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013. ნ. ნაცვლიშვილი, ზ. ქიტიაშვილი.

დანართები

დანართი №1

თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე მკითხველს.

მეწისქვილე, მისი ვაჟი და სახედარი

ერთ დღეს მეწისქვილესა და მის ვაჟს სახედარი მიჰყავდათ ქალაქში: გზაზეში უნდა გაეყიდათ. გზად ბოგონები შეხვდნენ. მათ მხიარული სიცილი ატეხეს.

– უყურეთ! – თქვა ერთმა და დანარჩენებიც მიახედა, – ეს რა ხალხია! ამ სიცხეში ფეხით მიჩანჩალებენ! რომელიმე მაინც შემჯდარიყო სახედარზე.

მეწისქვილესა და მის ვაჟს შერცხვათ.

მამა კეთილი კაცი იყო და სახედარზე შვილი შესვა.

ასე იარეს ერთხანს. გზად ორი ბერიკაცი მიდიოდა. გაოცებულებმა შეხედეს ქალაქში მიმავალ მგზავრებს. გაუკვირდათ, რომ სახედარზე ახალგაზრდა შვილი იჯდა. მოხუცი მამა კი ფეხით მიჰყვებოდა უკან.

– ჰეი, მეწისქვილეო, რა ზარმაცი შვილი გყოლია! – დაუძახა ერთმა, – ფეხით მაგან უნდა იაროს, შენ კი არა!

ვაჟმა თავი უხერხულად იგრძნო, არ იცოდა, რა ექნა.

– ალბათ მართალს ამბობენ, – თქვა მამამ და სახედარზე თვითონ შეჯდა.

ცოტაც გაიარეს და ქალებსა და ბავშვებს გადაეყარნენ. ისინი გზაზე მხიარულად და ჟრიამულით მოდიოდნენ. შეხედეს მგზავრებს და შეეცოდათ ფეხით მიმავალი მეწისქვილის კაცი. არ მოეწონათ, რომ სახედარზე მამა შემჯდარიყო, შვილი კი დაღლილი სახით მიჰყვებოდა მამის კვალს. ერთმა ქალმა საყვედურით უთხრა მამას:

– არა გრცხვენია?! შემოისვი ეგ საწყალი ბიჭიც, რა იქნება!

– მართალს ამბობს, – თქვა მეწისქვილემ და შვილი უკან შემოისვა. ერთხანს ასე იმგზავრეს.

ის იყო, ქალაქში შევიტანდნენ, რომ ერთი კაცი შეამოხვდათ.

– თქვენია ეს სახედარი? – იკითხა კაცმა.

– ჩვენია. – მიუგეს ჩუმისქალებმა. – ბაზარში მიგვყავს გასაყიდად. რად ჩვეთხება?

– იმიტომ გვეკითხებით, რომ ეს საწყალი სადაცაა დავარდება ორი კაცის ტირვეთი. – ეუბნება კაცმა და სახედრის კელრებზე დაუსვა ხელი. – მერე ვინლა იყიდის? ალბათ, თქვენ ასეთის აუბირთ.

ჩუმისქალებმა და მისმა ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს. ცოტათი შეეშინებოდნენ. მათ ხომ ძალიან უნდოდათ სახედრის გაყიდვა. იფიქრეს, ვითომ დაღლილი სახედრის გაყიდვა ვერ მოვახერხოთო. მოეწონათ გზაზე შემოხვედით შეხვედრილი კაცის რჩევა.

სახედარი ეუხეშოთ ერთი მაგარი სარეს ძიაბეს. სარი მხარზე გაიდეს და ასე მიაბრძანეს ქალაქში. ცოტა კი გაუჭირდათ სახედრის ხელით თრევა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ.

ქალაქელებმა დაინახეს უცნაური მგზავრები, რომლებსაც სახედარი ხელით მიაყავდათ. აქამდე მსგავსი არაფერი ენახათ. ძალიან გაუკვირდათ. ეს სანახაობა ხალხისთვის არ ეკითხა. ამდენი იცინეს, ჩუცლები ხელით ეჭირათ.

სახედარი ასე მგზავრობას არ იწუნებდა. მაგრამ დაეთანხა იუკადრისა. გაბუ-გაბილიანი, ძალიან გაბუტული და ისე გაიქცა, თვალი არავის მოუკრავს.

მამა და მისი ვაჟი დამცარებული გამიბრუნდნენ შინ. ვერც სახედარი გაყიდეს და თავიც სასაცილოდ გახადეს.

– ჯობია, რომ აქედან, ვერც ვერავის ეასიანობენ და კარგი ვინიც გამოვდექი! – ამოიოხრა ჩუმისქალებმა.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემობა ზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რისთვის მიჰყავდათ მეწისქვილესა და მის ვაჟს სახედარი ქალაქში?

ა) ბაზარში უნდა გაეყიდათ.
ბ) ქალაქელები უნდა გაეცნობინათ.
გ) ქალაქში უნდა გაესეირნებინათ.

2. „ფეხით მიჩანჩალებენ", - შენიშნეს გოგონებმა. ამ სიტყვებიდან მათი როგორი დამოკიდებულება ჩანს მამა-შვილის მიმართ?

ა) ისინი მრაზობენ მამა-შვილზე.
ბ) ისინი დაცინიან მამა-შვილს.
გ) მათ ეგრალებათ მამა-შვილი.

3. რატომ შესვა მამამ შვილი სახედარზე?

ა) დაღლილმა შეიღმა ითხოვა და შეეყოდა.
ბ) კეთილი იყო და შეილი შეეყოდა.
გ) შვილი ზარმაცი იყო და შეეყოდა.

4. ბერიკაცებს არ მოეწონათ, რომ:

ა) სახედარზე შვილი იჯდა.
ბ) სახედრის გაყიდვა უნდოდათ.
გ) ხიდზე ფეხით მიდიოდნენ.

5. რა ურჩია ქალაქში შესვლისას შემხვედრმა მგზავრმა მამა-შვილს?

ა) მამა შემჯდარიყო სახედარზე.
ბ) შვილი გასძღოლოდა სახედარს.
გ) ხელით ეტარებინათ სახედარი.

11. რა თვისებით ჰგვანან ის მგზავრები ერთმანეთს, რომლებიც მეწისქვილესა და მის ვაჟს რჩევებს აძლევენ ?

ა) გულკეთილები არიან და სხვისი დახმარება თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ.

ბ) დაუნდობლები არიან და სხვისი დაცინვა სიამოვნებას ანიჭებთ.

გ) თავი ყოველისმცოდნე ჰგონიათ და სხვის საქმეში დაუკითხავად ერევიან.

12. რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) ახალგაზრდის რჩევას ყური არ უნდა დაუგდო.

ბ) ყველას საკუთრების ადგილი არაფერს გარეგებს.

გ) ყველას რჩევა უნდა გითვალისწინო.

დანართი №2

საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე მკითხველს.

ძაღლი

ადამიანმა დიდი ხნის წინ მოიშინაურა ძაღლი. მას შემდეგ ის ადამიანის ერთგული მეგობარია და მისთვის ბევრი სასარგებლო რამის გაკეთება შეუძლია.

ძაღლი ადვილად მოსათვინიერებელი და გასაწვრთნელი ცხოველია. მას იყენებენ ნადირობისთვის, მაძებრად, დაცვისთვის და ტვირთის გადასატანად. უძველესი ფუნქცია, რომელიც ძაღლს აკისრია, ესაა შინაური ცხოველების დაცვა. აქვს კარგი ყნოსვა. ცნობილია, რომ ძაღლებს დაახლოებით 40 ათასი სხვადასხვა სურნელის დამახსოვრება და გარჩევა შეუძლიათ. ამიტომაც ბევრი მათგანი უებრო მაძებარია.

ძაღლების რაოდენობა მსოფლიოში 700 მილიონიდან 1 მილიარდამდეა. ძაღლის სახეობებიც მრავალგვარია. ისინი განსხვავდებიან გარეგნობით, დანიშნულებით, ხასიათით. თუმცა ყველა მათგანი ადამიანს ემსახურება და საიმედო მეგობროობას უწევს. მაგალითად, ინგლისური კოლი ყველაზე ჭკვიან ძაღლად ითვლება. მან ეს მრავალ კონკურსში გამარჯვებით დაამტკიცა. კოლი ძალიან ცელქია და სამოძრაოდ დიდი სივრცე სჭირდება. ამიტომ კორპუსის ბინებში მისი ყოლა არაა სასურველი.

თანამოძმეებში თავისი ინტელექტით მეორე ადგილი უჭირავს პუდელს. ეს ერთი ციცქნა ძაღლი ძალიან გონიერი, თვინიერი და მხიარული ბუნებისაა. ამიტომაც ძაღლების მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის კარგად ეგუება ქალაქში ცხოვრებას. მისი გასეირნება დიდ ძალას არ მოითხოვს და ბავშვსაც შეუძლია გაართვას თავი ამ ამოცანას.

როტვეილერი ძალიან საყვარელი და ერთგული ძაღლია. ის მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ძლიერი სხეული და ყოველი აქვს. იყენებენ ტანზე სანადიროდ. მეტად გონიერია და ადვილად იწვრთნება. კარგად ეგუება ქალაქის პირობებს.

ინგლისური ჯიშის ძაღლია ბობტეილი. მას ძველად საქონლის მწყემსად იყენებდნენ. უსაზღვრო სიყვარული შეუძლია და ოჯახის შესანიშნავი მეგობარია. მაღალი ინტელექტი აქვს. დაუღლელი და ძალიან მოძრავია. ადვილად სამართავია და არაა აგრესიული. ბავშვებთან ბობტეილი ნაზი და მომთმენია. არასოდეს ეპყრობა მათ უხეშად. ბავშვებს ერთგულად იცავს და სიამოვნებით ეთამაშება.

მეცხვარე ძაღლი, იგივე ნაგაზი, ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. ის საუკეთესო მცველი ძაღლია მსოფლიოში. ქართული მეცხვარული ჯიშის ძაღლს კავკასიურ ნაგაზადაც მოიხსენიებენ. უძველესი დროიდან იგი ფარას მგლებისგან იცავდა და დღესაც მთიან რეგიონებში ცხვრის სამწყემსად იყენებენ. ნაგაზის ეს ჯიში თუშმა მეცხვარეებმა გაავრცელეს.

ნაგაზი ამაყი და გონიერი ძაღლია. მისი გაწვრთნა საკმაოდ რთულია. ეს დიდ შრომასა და ცოდნას მოითხოვს. ნაგაზი ერთმანეთისაგან კარგად არჩევს ოჯახის წევრებსა და უცხოს. მას ეზო და დიდი სამოძრაო არეალი სჭირდება. ნაგაზი არასოდეს მიიტანს იერიშს სუსტ არსებაზე, თუ ის მისი ტერიტორიიდან გარბის.

საქართველოში არსებობს ძაღლთსაშენი „ტაბაკონი", სადაც გამოჰყავთ საუკეთესო ჯიშის ნაგაზები. აქ აღზრდილი ნაგაზი, სახელად ბუთქუნა, ევროპის ჩემპიონი გახდა 2010 წელს.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **როგორ დამტკიცდა, რომ ინგლისური კოლი ყველაზე ჭკვიანი ძაღლია?**

   ა) ბავშვებთან ნაზი და ძალიან მომთმენია.

   ბ) მრავალ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა.

   გ) წარმატებით იყენებენ ცხვრების სამწყემსად.

2. რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ პუდელი საყოველთაოდ ცნობილი ჯიშია?

ა) „ადვილად მოსათვინიერებელია".

ბ) „მაღალი ინტელექტისაა".

გ) „პოპულარობით სარგებლობს".

3. რას ნიშნავს: „მთავარი ფუნქცია"?

ა) მთავარ დანიშნულებას.

ბ) მთავარ თვისებას.

გ) მთავარ სათქმელს.

4. რით გამოირჩევა როტვეილერი ტექსტში დასახელებული სხვა ძაღლებისაგან?

ა) ის ადვილად ეგუება ქალაქის პირობებს.

ბ) ის საკმაოდ გონიერი ცხოველია.

გ) მას სანადიროდ იყენებენ.

5. რა გამოარჩევს ქართულ ნაგაზს სხვა ძაღლებისაგან?

ა) იგი პატრონის ერთგული მეგობარია.

ბ) მას სამოძრაოდ დიდი სივრცე სჭირდება.

გ) მის გაწვრთნას საჭირო ცოდნა სჭირდება.

6. რით ჰგვანან ერთმანეთს ბობტეილი და ქართული ნაგაზი?

ა) ორივე ადვილად სამართავი და გასაწვრთნელია.

ბ) ორივეს სამოძრაოდ დიდი არეალი სჭირდება.

გ) ორივე უძველესი დროიდან შინაურ ცხოველებს მწყემსავდა.

დანართი №3

ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

ძიორელი მაგალითი:

მზდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მზდალი** ნიშნავს:

ა) **მორცხეს** ბ) **მშიშარას** გ) **სწრაფს**

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მზდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____.

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს**.

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

---

1. ოთახში ყურადღებას ძველი **კიდობანი** იქცევდა. აქ სიტყვა **კიდობანი** ნიშნავს:

   ა) განიერ ტახტს. ბ) მაღალ სკამს. გ) სახურავიან ყუთს.

2. ხშირად მახსენდება ჩემი **ლმობიერი** ბებია. **ლმობიერი**, ანუ:

   ა) **გამრჯე.** ბ) **მზრუნველი.** გ) **შემბრალებელი.**

3. გონებამახვილმა მოსწავლემ სწრაფად მოიფიქრა პასუხი.
   გონებამახვილმა. ანუ:

   ა) მონდომებულმა. ბ) საჩქაროდ. გ) წარმატებულმა.

4. მარიკას სანანებელი გაუხდა თავისი **წინდაუხედავი** საქციელი.
   წინდაუხედავი. ანუ:

   ა) დაფიქრებული. ბ) უცნაური. გ) შეუფერებელი.

5. ნაზბა ფეიდიბზე **მიღოღავს**. აქ სიტყვა **მიღოღავს** ნიშნავს:

   ა) ძაბავენს. ბ) ძაბავს. გ) მიყოლავს.

6. ტანი **გაფითრდა** და იქვე ჩაიკეცა. აქ სიტყვა **გაფითრდა** ნიშნავს:

   ა) ათრთოლდა. ბ) გაფერმკრთალდა. გ) დანაღვლიანდა.

7. მოხუცი ძალიან ღონეს არ იშურებდა, მაგრამ **წინანდებურად** ვერ
   მუშაობდა. აქ სიტყვა **წინანდებურად** ნიშნავს:

   ა) გულმოდგინედ. ბ) თავისებურად. გ) ძველებურად.

8. ერთად დაყრილი დალეწილი ქვა არის:

   ა) ლოდი. ბ) ფილა. გ) ღორღი.

9. ის, ვინც რაიონულ ვითარებაში სწრაფად ერკვევა, არის:

   ა) დაუსაბელი. ბ) კეთილშობილი. გ) საჩქაროანი.

10. ძველჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
    მტრედი სახურავზე ზის და .....

    ა) გადობს. ბ) ღელვენს. გ) ჭიკჭიკებს.

11. რომელია **სეირის** მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა?

ა) ოინი. ბ) სანახაობა. გ) წარმოდგენა.

12. რომელია **ჭუჭყიანის** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

ა) მკვეთრი. ბ) სუფთა. გ) ხასხასა.

13. გამოთქმა **მიწას არ ასცილებია** ნიშნავს:

ა) მსუბუქია. ბ) პატარაა. გ) ცოტაა.

14. მასპინძელი ახალმოსულს რატომღაც **ალმაცერად უყურებდა.**
გამოთქმა **ალმაცერად უყურებდა** ნიშნავს: .

ა) არ ენდობოდა. ბ) არ უსმენდა. გ) არ აკვირდებოდა.

15. ოსტატმა **პირში წყლის ჩაგუბება** ამჯობინა.
გამოთქმა **პირში წყლის ჩაგუბება** ნიშნავს:

ა) გამბედაობას. ბ) გაბედვას. გ) გასროლას.

დანართი № 4
მე-4 კლასის მოსწავლის კითხვარი

 მოგესალმებით!
 ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ,მანანა ჩოკოშვილი , ვატარებ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას მე-4 კლასში თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება- შედეგების გასაუმჯობესებლად. თქვენი,როგორც მე-4 კლასის მოსწავლის მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებით განხორციელებაში . ძალიან გთხოვთ იყოთ გულწრფელი . ანონიმურობა დაცულია . გმადლობ თანამშრომლობისთვის.

1) შეგიძლია თუ არა სახელმძღვანელოში დამოუკიდებლად მოიძიო საჭირო ინფორმაცია და სრულყოფილად გადაამუშაო წაკითხული?

□დიახ □ არა □ მესაჭიროება დახმარება

2) კითხვისას უცხო სიტყვების აღმოჩენის შემთხვევაში როგორ იქცევი?

□ ვეკითხები უფროსს □ ვეძებ ლექსიკონში □ არ ვინტერესდები მნიშვნელობით

3) კითხვისას აცოცხლებ წარმოსახვაში წაკითხულს და აქცევ ნახატად?

□ არა □ კი □იშვიათად

4) რამდენ დროს უთმობ წიგნის კითხვას დღეში?
□ 30 წთ □ 1-2 საათს □თითქმის არ ვკითხულობ

5) წაკითხულის გაგება- გააზრება გიადვილდება მაშინ და უფრო მეტად მოგწონს , როცა:
□ თავად კითხულობ □ სხვა გიკითხავს

6). კითხულობ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?
□ დიახ □ არა □იშვიათად

7) ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნს კითხულობ
□ყოველთვის □ზოგჯერ მომაქვს უკან წაუკითხავად □იშვიათად

8)კითხულობ საინფორმაციო ტექსტებს?
□ არ ვკითხულობ □ იშვიათად ვკითხულობ □ხშირად ვკითხულობ

დანართი N 5.

მშობლის კითხვარი

მოგესალმებით!
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ,მანანა ჩოკოშვილი ,
ვატარებ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას მე-4 კლასში თხრობითი და საინფორმაციო ტექსტის გაგება- შედეგების გასაუმჯობესებლად. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის წარმატებით განხორციელებაში . ანონიმურობა დაცულია .
მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. რა დროს უთმობს თქვენი შვილი კითხვას დღეში ?
ა) 30 წუთს ბ) საკმაოდ დიდ დროს გ) 2 საათს

2. შეუძლია თუ არა თქვენს შვილს სახელმძღვანელოში საჭირო ინფორმაციის მოძიება და წაკითხულის სრულყოფილად გადამუშავება?
ა)დიახ . ბ)არა გ) ნაწილობრივ
3. წაკითხული ტექსტის გაგება -გააზრება უადვილდება:
ა) როცა თავად კითხულობს; ბ) როცა უფროსი უკითხავს ტექსტს;

4. თქვენი აზრით რომელი ტიპის ტექსტის გაგება -გააზრება უფრო უჭირს :
ა) მხატვრულ ტექსტს; ბ) საინფორმაციო ტექსტის გ) არც ერთის

5. ტექსტის წაკითხვისას გაუგებარი (უცხო) სიტყვების ასახსნელად
ა) გთხოვთ მის განმარტებას ბ) არ სვამს კითხვებს გ) მოიძიებს ლექსიკონში განმარტებას

6. კითხულობს თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას სახლში?
ა) დიახ; ბ) არა; გ) იშვიათად.

7.კითხულობს საინფორმაციო ტექსტებს?
ა) არ კითხულობს ბ) იშვიათად კითხულობს გ) ხშირად კითხულობს

დანართი N 6

ტყეში

იყო ერთი ტყე, როგორც ყველა---------- , ესეც ზამთარსა თუ ----------
---ულამაზესი და ----------. ბევრი ფრინველი,---------- , ----------
---------- , ---------- ბინადრობდა აქ. ზოგი ---------- , ----------
---------- . მხიარულები განსაკუთრებით ---------- იყვნენ. მთელი დღე ჭიკჭიკითა
და გალობით ---------- ტყეს. ბარტყებს ---------- საკვებს და ----------
---------- . ასე----------დრო.

ერთ დღეს ჩხიკვმა ყვავი გააბრაზა. მთელი დღე ---------- დასდევდა ----------
--. დაიღალა, ---------- , მაგრამ ვერაფერი გააწყო. ----------ყვავს ციყვმა
უთხრა: - გინდა კატაბალახას წვეთები დავალევინო?

ამ ალიაქოთში ყვავს თავისი ბუდე ---------- . მოძებნა ---------- ,

ფრთები გაშალა და მთელი ---------- ზედ გადაეფოფრა.

1. როგორი იყო ტყე ზამთარსა თუ ზაფხულში?
   ---
2. როგორი ბინადრები ჰყავდა ტყეს?
   ---
3. როგორ იქცეოდნენ ისინი?
   ---
4. რომელი ზედსართავი სახელებით დაახასიათებდით ყვავს?

დანართი N 7

უცნაური ცხოვრება ღამურასი

ღამურას ცხოვრება სავსეა უცნაურობით. ---------- უმეტეს ნაწილს ძილში

---------- . დადგება თუ არა შემოდგომა, ღამურა ---------- ქრება. სად მიდის ამ დროს ---------- ? ის იმალება ---------- ადგილებში , სადაც ათობით და ოცობით ---------- . ისინი ----------მიეკრობიან , უკანა ფეხებს მოსჭიდებენ---------- , დაეკიდებიან თავდაღმა და სძინავთ -------- ----------ზამთარი, ექვსი თვის ---------- . აგერ----------

კიდეც. ტყე ფოთლით შეიმოსა , მცენარეებმა იწყეს ---------- და ჰაერში მორთეს

---------- ფრინველებმა. სწორედ ამ დროს ---------- ღამურა თავის ექვსი თვის ძილიდან ---------- და საღამოს ჟამს გამოდის სანადიროდ. წარმოიდგინეთ როგორი ---------- ინადირებს. რაზე უნდა ---------- --? ამას ვერ გაარჩევთ, იმიტომ რომ ღამეა და ღამურაც ისე სწრაფად ---------- ჰაერში , რომ ---------- თვალსაც კი ვერ მოჰკრავ.

1. როდის და სად ქრება ღამურა?
   ---
2. წელიწადის რომელ დროს იღვიძებს ღამურა?
   ---
3. რაზე ნადირობს ღამურა?

დანართი N 8

კოდალა

კოდალები ხეებს---------- ათავისუფლებენ. მაშინაც კი , როცა კოდალა --------- ---------- ხეზე აკაკუნებს, ის ანადგურებს ---------- მწერებს ,რომ სხვა ჯანმრთელ ---------- არ გადავიდნენ. ---------- ჯერ ნისკარტით, შემდეგ კი წებოვანი ---------- მერქანში ---------- აღწევენ და ---------- გარეთ გამოჰყავთ.

ადრე ფიქრობდნენ , რომ კოდალები---------- კაკუნითა და ფუღუროების კეთებით ხეებს ---------- . მოგვიანებით გაირკვა ,რომ კოდალა---------- --- დაავადებულ ან ---------- ხეზე იკეთებს ---------- .

ხეების გარდა ეხმარებიან იმ პატარა ჩიტებსაც, ---------- ბუდეების გაკეთება ვერ ---------- . კოდალები ყოველ წელს ---------- ფუღუროს იკეთებენ , ---------- კი უბინაო ჩიტები ---------- . რომ არა კოდალები, ---------- ზამთარს ვერ გადაიტანდნენ და ---------- და ---------- დაიხოცებოდნენ.

1. რისგან ათავისუფლებენ კოდალები ხეებს?

   ---

2. როგორ ხეებზე აკაკუნებს და იკეთებს ფუღუროს კოდალა?

   ---

3. ხეების გარდა რის გადარჩენა შუძლიათ კოდალებს?

   ---

4. რა სარგებელი მოაქვს კოდალას გამხმარ ხეებზე კაკუნით?

დანართი N 9

მშობლის კითხვარი

მოგესალმებით!
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ,მანანა ჩოკოშვილი ,
ვატარებ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას. თქვენი,
როგორც მშობლის მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია ჩემი კვლევის წარმატებით
განხორციელებაში . ანონიმურობა დაცულია .
მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. ეკითხებით თუ არა თქვენს შვილს წაკითხულის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს?
   ა) დიახ. ბ)არა. გ) იშვიათად

2. რა დროს უთმობს თქვენი შვილი კითხვას დღეში ?
   ა) 30 წუთს ბ) საკმაოდ დიდ დროს გ) 2 საათს

3. გთხოვთ თუ არა თქვენი შვილი უცხო სიტყვების განმარტებას, ან ეძებს ლექსიკონში მათ განმარტებას?
   ა)დიახ . ბ)არა გ) იშვიათად

4.როგორ ფიქრობთ, გაიზარდა თქვენი შვილის დაინტერესება კითხვის მიმართ?
ა)დიახ . ბ)არა გ) საშუალოდ

5. კითხულობს თქვენი შვილი საინფორმაციო ტექსტებს?
   ა) კი ბ) არა გ) იშვიათად

6. უჭირს თქვენს შვილს ტექსტში ინფორმაციის მოძიება და წაკითხულის გადამუშავება?
   ა) კი ბ) არა გ) ნაწილობრივ